## საქართველოს მეჩაიეები უპატაკებენ

# 1983 წლის მიჯნა დაძლეულია

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით განაღდებისა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, გეგმის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. ჰადამმუშავებელ მრეწველობას ჩააბარეს 553. 512 ტონა ჩაის ფოთოლი.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, ოჩამჩირის, გალის, ჩოხატაურის და სხვა რაიონების მეურნეობებმა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 203 (7514)

23 1983 წ. ოქტომბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## შლოცავენ დიდ წარმატებას

**დიდ** გამარჯვებას ვულოცავ ქართველ მეჩაიეებს, რომლებმაც მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის გეგმის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების სოციალისტური ვალდებულებები.

მახარებს ჩვენი მეჩაიეების დიდი წარმატება. ვერ დაგიმალავთ, სიხარულით მავსებს ჩემი მშობლიური ზუგდიდის რაიონის გამრჯე ადამიანების დიდი წვლილი ამ საერთო მიღწევაში: მათ ხომ 75 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარეს სახელმწიფოს, გეგმაზე სამი ათასი ტონით მეტი!

მიიღეთ, მეგობრებო, ჩემი დიდი მადლობა და დიდი მილოცვა.

**ნონა გაფრინდაშვილი.**

• • •

**ქართველ** მეჩაიეთა ამ გამარჯვებამ მეტად გაგვახარა. ეს წარმატება ხომ მეჩაიეთა მთელი წლის თავდადებულმა, მუხლჩაუხრელმა და მართლაც გმირულმა შრომამ მოიტანა. საამაყოა სარეკორდო მოსავალი, რომელიც სტიქიის პირველყოფილობასთან ბრძოლაშია მოპოვებული. აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენი, სპორტსმენების სიხარულს მარტო მოქალაქეობრივი პოზიცია როდი განაპირობებს. ამ სურნელოვან, სასიამოვნო სასმელს თავისი „წვლილი" შეაქვს სპორტსმენთა წარმატებაში.

ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ საფეხბურთო მატჩებს შორის შესვენებაზე სპორტსმენებს გასახდელში ცხელი ჩაი ელით, ორთაბრძოლით დაქანცულ მოთამაშეებს ჭიქა ჩაი წამში უხსნის დაღლილობას და სიმხნევეს მატებს. ამიტომაც ჩვენ ყოველთვის ვლოცავდით მის მარჯვენას, ვინც ამ მაცოცხლებელ ნექტარს ზრდის და მოჰყავს.

გუნდში ჩაის სიყვარულით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენი ნახევარმცველი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გრიგოლ გაგუა, რომელიც დღემდე ჩაის კვლავ დიდი თაყვანისმცემელია.

სასიხარულო უფრო ის არის, რომ ეს გამარჯვება მეჩაიეთა დიდმა მონდომებამ, თავდადებულმა შრომამ, მტკიცე დისციპლინამ და წარმოების მაღალმა კულტურამ განაპირობა.

სულითა და გულით ვულოცავ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს ამ წარმატებას და ახალ შრომით გამარჯვებებს ვუსურვებ მათ.

**ბორის პაიჭაძე.**

• • •

— **ჩაი** ჩვენი, ქართული, — ვამბობთ ხოლმე და თვალწინ წარმოგვიდგება ლამაზად გამწკრივებული ბუჩქები, მწვანე დუყებზე ელვისებურად მოძრავი თითები, ათასობით მუხლჩაუხრელად მშრომელი ადამიანი.

დიახ, შრომაა ის ფენომენი, რომელიც წარმოაჩენს გმირს, გვანიჭებს სიხარულს, გვიზრდის ჩემპიონსა და რეკორდსმენს. ამიტომაც ვარიგებთ ასე ჩვენს აღსაზრდელებს, მათ, ვინც ქართული სპორტის დიდება საქვეყნოდ უნდა გაიტანონ, იცოდეთ შრომის ყადრი და ფასი, მაგალითი აიღეთ ჩვენი სახელოვანი მშრომელებისგან, მეჩაიეებისგან, მევენახეებისგან...

**ნელი სალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრი პერიოდულად სწავლობს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების საკითხებს. დღეს თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პრობლემებს, მისი განვითარების პერსპექტივებს.

# როგორია თქვენი აზრი?

ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად საერთო-სახელმწიფო საქმედ იქცა ზრუნვა მშრომელთა ფიზიკური აღზრდის, სპორტის მასობრიობის, დიდი სპორტის შემდგომი განვითარებისათვის, მოზარდების გაჯანსაღებისა და გაკაჟებისათვის. აღსანიშნავია ის მუშაობა, რომელსაც საქართველოს სპორტკომიტეტი, რესპუბლიკის ცალკეული სპორტული და ფიზკულტურული კოლექტივები, ორგანიზაციები ეწევიან მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად, მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში უკანასკნელ წლებში აიგო ახალი სპორტული კომპლექსები, გამაჯანსაღებელი მოედნები, დაწესდა და ტრადიციად დამკვიდრდა ისეთი სპორტული დღეები, როგორიცაა „მორბენლის დღე", „ფეხბურთის დღე" და ა. შ. მოკლედ, უკანასკნელ წლებში გარკვეული სასიკეთო ძვრები შეინიშნება რესპუბლიკის მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში. მაგრამ ნათელია ისიც, რომ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ იძლევა სასურველ ეფექტს, სრულად ვერ უპასუხებს დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს, იმ ამოცანებს, რომლებსაც თავად ცხოვრება აყენებს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით — რესპუბლიკის სპორტული ცხოვრება ნაბიჯს ვერ უწყობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას, მის რიტმს და, ამდენად, სავსებით სამართლიანია ის საყვედურები, რომლებსაც ჩვენი ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების, მათი მესვეურების მიმართ გამოთქვამენ რესპუბლიკის მშრომელები, სპორტის მოყვარულები, გულშემატკივრები. წარუმატებლობათა მაგალითების საძებნელად შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ამის დამადასტურებლად სულ რაღაც ორიოდე თვის წინ დასრულებული სსრ კავშირის ხალხთა მერვე სპარტაკიადაც კმარა. აქ აშკარად გამოიკვეთა ჩავარდნები ისეთ სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, კრივი, ნიჩბოსნობა, ძალოსნობა, ფრენბურთი... პოზიციები დავთმეთ ფეხბურთში, ჭიდაობაში, კალათბურთში, წყალბურთში, ველოსპორტში, ტანვარჯიშში... უდავოა, რომ აუცილებელია ქმედითი, ეფექტური ზომების დროულად მიღება არსებული მდგომარეობის ნორმალიზებისთვის, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ისეთ დონეზე წარმართვისათვის, როგორც ამას ჩვენი დღევანდელობა მოითხოვს.

მიმდინარე წლის ნოემბერში განზრახულია ჩატარდეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნება საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებს. მანამდე კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრი და საქართველოს ტელევიზიის სპორტული პროგრამების მთავარი რედაქცია ამზადებენ „სტუდია „დიალოგს" რესპუბლიკის სპორტის მესვეურების — სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების, სპეციალისტების მონაწილეობით. გადაცემაში საუბარი იქნება ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ჩამორჩენის მიზეზებზე, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გზებზე, დასახულ ღონისძიებებზე, სამომავლო ამოცანებზე. ამასთან დაკავშირებით, მოგმართავთ ყველას — მკითხველებს, ტელემაყურებლებს, სპორტის საკითხებით დაინტერესებულ პირებს, სპეციალისტებს, სპორტსმენებს, სპორტულ ჟურნალისტებს, ფიზკულტურული მოძრაობის ვეტერანებს: გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები, შენიშვნები, წინადადებები ამ გადაცემაში წინა პლანზე წამოსაწევ საკითხებზე, იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, მოგვწერეთ კონკრეტულად ვის და რა შეკითხვით მივმართოთ. თქვენი წერილები დიდ დახმარებას გაგვიწევს როგორც გადაცემის საინტერესოდ მომზადებაში, ისე რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში არსებული პრობლემების გადაჭრაში.

ჩვენი მისამართებია:

380034, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 7, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრი.

380071, თბილისი, ლენინის ქ. № 68, საქართველოს ტელევიზიის სპორტული პროგრამების მთავარი რედაქცია.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, გაზეთ „ლელოს" რედაქცია.



•

**ახლახან** სოხუმში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთში. ასპარეზობაში, რომელშიც რესპუბლიკის 5 გუნდი მონაწილეობდა დამთავრდა დედაქალაქის სპორტსმენთა გამარჯვებით.

**სურათზე:** საქართველოს 1983 წლის ჩემპიონი — თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სკოლის გუნდი.

ჯ. კახრაძის ფოტო.

• • •

(შეჯიბრების ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არ ვიცი**, რატომ, მაგრამ წარსულში გამორჩენილ სპორტსმენებთან საუბრისას ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს დიდი დრო არ გასულა და ხელახლა ვადევნებ თვალყურს ჩვენი თაობის სპორტული კერპების ასპარეზობას. ეს კი არა, ისიც კი მეჩვენება, რომ საუბარს გამაყრუებელი შეძახილები და ტაშისცემაც ახლავს. ასეთია ილუზია, რომელსაც გარდასულ დროსთან ხელახალი კონტაქტი წარმოშობს.

აი, ჩვენ უკვე მერამდენე საათია საწერ მაგიდას ვუსხედვართ, ვსაუბრობთ, როგორც ძველი მეგობრები და ვცდილობთ არა გონების თვალით, არამედ ცხადად აღვადგინოთ ის დღეები და წლები, რომელთა მომსწრენიც ვიყავით. მე მახსოვს მისი კალათბურთი, უაღრესად თვითმყოფადი, გამორჩეული ხელწერისა და მანერის, ზედმიწევნით ემოციური და, ამავე დროს, „ცივი გონებით“ ნაკარნახევი, მახსოვს, მისი დირიჟორული მონაცემები, ელვისებური გასვლა ფარქვეშ, მისი დინჯი და გააზრებული თამაში დაცვაში... იყო ამ სპორტსმენში რაღაც ისეთი, რაც ერთდროულად გიზიდავდათ კიდეც და პატივისცემის გრძნობასაც აღგიძრავდათ. მუდამ ინტელიგენტურს, წელგამართულს, საოცარი მიდრეკილება ჰქონდა წესრიგისადმი ცხოვრებაშიც და სპორტულ სარბიელზეც. მისი თაობის ჭაბუკებს აცვიფრებდათ გურამ მინაშვილის უჩვეულო პუნქტუალობა, სიზუსტე. ეს თვისებები მას თავიდანვე მომადლებული ჰქონდა და მთელი ცხოვრების მანძილზე ვერაფერმა შეაცვლევინა. ამ აზრით, უკვე მისი ყოფნა მეგობართა წრეში თუ კალათბურთის გუნდში კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა მათზე და თავისებური წესრიგი შეჰქონდა ადამიანურ ურთიერთობებსა და თამაშში. მაგრამ მისი ყველაზე შესაშური თვისება მაინც წარმოუდგენელი შრომისმოყვარეობა გახლდათ. უშრომლად იგი თავს მოუსვენრად გრძნობდა, ადგილს ვერ



# აწმყო, შობილი წარსულისაგან...

# გურამ მინაშვილი

პოულობდა. მისი შინაგანი ბუნება და მოზღვავებული ენერგია სასიკეთო საქმეში, შრომაში ჰპოვებდა გამოხატულებას. ზოგჯერ ძნელიც კი იყო იმის განსაზღვრა, რა უფრო ჭარბობდა გურამ მინაშვილში: ნიჭი თუ შრომისმოყვარეობა; იმდენად ორგანული იყო მასში ერთიცა და მეორეც. არადა, ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ნიჭიერი კაცი შეიძლება წაიზარმაცებდეს, ხოლო შრომისმოყვარისათვის მისი მცდელობა უნიჭობის ერთგვარი კომპენსაციააო. ცხადია, ეს ილუზიაა და მეტი არაფერი... მისი მიდრეკილება წესრიგისადმი, დისციპლინისადმი ხანდახან თავისებურ კურიოზებსაც კი იწვევდა. ამხანაგები ღიმილით იხსენებდნენ, როგორ წუხდა ხოლმე იგი ვარჯიშზე უნებური დაგვიანების გამო. ამას ვერც საკუთარ თავს და ვერც სხვას ვერ აპატიებდა. ამიტომ, გინდოდა თუ არ გინდოდა, გურამ მინაშვილის საზოგადოებაში უთუოდ პუნქტუალური და საკუთარი სიტყვის კაცი უნდა ყოფილიყავი. კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა მისი ეს თვისებები თბილისის „დინამოში“ თუ საკავშირო ნაკრებში, რომელთა წევრიც იყო უნიჭიერესი კალათბურთელი.

თვით კურიოზის ცნებას, გურამ მინაშვილთან დაკავშირებით, დაზუსტება სჭირდება. ზოგჯერ კურიოზად აღვიქვამთ ისეთ ამბავსაც, რაც ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანური თვისებებიდან გამომდინარეობს. ერთხელ უმკაცრეს რკინისებურ რეჟიმს შეჩვეულ გურამს ერთი ჭიქა წყალი დაულევია და მერე გაკვირვებით ამბობდა თურმე: ეს როგორ დამემართა ან თამაში როგორღა შევძელიო. წესრიგი, სტოიკური რეჟიმი, ქანცგამცლელი ვარჯიში — აი, რისი წყალობით იყო, რომ წლების მანძილზე ქუხდა მისი სახელი კალათბურთის სამყაროში. იქნებ თანამედროვე სპორტის ზოგიერთ წარმომადგენელს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითი ერთობ გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მართლაც ასე იყო. რაც შეეხება წყალს... მის ნაცვლად გურამ მინაშვილი პატარა თერმოსში ლიმონის ნაყენს ასხამდა და დროდადრო პირს ისველებდა ხოლმე. ამხანაგებმა იცოდნენ მისი „ახირება“ და ერთხელ ხუმრობით თერმოსი გამოუცვალეს. ეს ხუმრობა პატრონს ისე არ ეჭაშნიკა, ერთი პირობა გუნდიდან წასვლაც კი დააპირა. დიდი ხვეწნა-მუდარითა და ბოდიშებით მოაბრუნეს კოლექტივში.

ეტყობა, წესრიგს უშუალო კავშირი აქვს ერთგულებასთან და სიყვარულთანაც. ეს სწორედ გურამ მინაშვილზე ითქმის. მისი სპორტული ბიოგრაფია ერთობ მდიდარ მასალას იძლევა ამ მხრივ. არასოდეს, არც ერთ ვითარებაში მას საკუთარი ინტერესები გუნდის ინტერესებზე მაღლა არ დაუყენებია, წამიერ ცდუნებასა და ეგოისტურ მისწრაფებას არ აჰყოლია. იგი იყო იმ წესრიგისა და ერთგულების დარაჯი, რომელიც სხვადასხვა ხასიათისა და მისწრაფების სპორტსმენებს ერთ მუშტად კრავდა, ერთი მიზნისთვის აბრძოლებდა, ერთი აზრით მსჭვალავდა. და წინამძღოლის იმ მისიის შესრულება, რომელიც მინაშვილს გუნდმა დააკისრა, შესაძლოა უფრო ძნელიც კი იყო, ვიდრე კალათბურთის ბრწყინვალე თამაში, რადგან წინამძღოლს, რიგითი წევრებისაგან განსხვავებით, არავინ არაფერს აპატიებს და იგი ნიადაგ მობილიზებული უნდა იყოს. ასე გამოიკვეთა 50-60-იანი წლების ქართველ გულშემატკივართა წარმოსახვაში მინაშვილი-ლიდერის, წინამძღოლის, ექსტრაკლასის კალათბურთელის კოლორიტული და საგულისხმო ხატი, რომელიც დღემდე ახდენს გავლენას თავისი სპორტული ღვაწლითა და მნიშვნელობით ქართული კალათბურთის განვითარებაზე, მის დღევანდელ იერსახეზეც კი. ასეთი კალათბურთელების ზემოქმედება წარუვალია.

რა თქმა უნდა, გურამ მინაშვილს ჰყავდა წინამორბედი, რომელმაც ზედმიწევნით დიდი როლი ითამაშა მის სპორტულ და პიროვნულ ჩამოყალიბებაში. ეს ადამიანი გახლდათ ნოდარ ჯორჯიკია, ქართული კალათბურთის ყველა დროის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატი. ამ კაცმა მთელი ეპოქა შექმნა არა მარტო ქართულ, არამედ საკავშირო კალათბურთის ისტორიაშიც. ძლიერი, კატასავით მოქნილი, იგი იმთავითვე განასახიერებდა ინტელექტუალური კალათბურთის პრინციპებს, პრაქტიკული თამაშით გვარწმუნებდა კალათბურთის, როგორც სპორტის სახეობის ამოუწურავ, ჯერაც უცნობ შესაძლებლობებში. აი, ასეთი კალათბურთელი აირჩია თავის სამაგალითო სპორტსმენად გურამ მინაშვილმა.

მათ მოასწრეს ერთ გუნდში თამაში, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები იყვნენ. იმ პერიოდში, ეს იყო 1954 წელი, ნოდარ ჯორჯიკიას ბრწყინვალე სპორტული კარიერა სადაცაა უნდა დასრულებულიყო, გურამ მინაშვილი კი ის-ის იყო აუყვა კალათბურთის მწვერვალისაკენ მიმავალ გზას. ამ გზაზე მარტო მეგზური კი არა, უანგარო მეგობარი და მასწავლებელი სჭირდებოდა. მათ ერთად ითამაშეს და ეს დრო სამუდამოდ დარჩა გურამ მინაშვილის მახსოვრობაში, როგორც დიდ კალათბურთში უფროსი ამხანაგის დახმარებით ფეხშედგმის, წრთობის, დაოსტატების პერიოდი.

„—იშვიათად მინახავს კალათბურთელი, — იგონებს გურამ მინაშვილი, — რომ ნოდარ ჯორჯიკიასავით თავგანწირული ყოფილიყოს გუნდისთვის, მეგობრებისთვის, საერთოდ, კალათბურთისთვის. მისი სიყვარული კალათბურთისადმი გაოცებას იწვევდა. მე იგი, უკვე ცნობილი კალათბურთელი, მინახავს უნივერსიტეტის პირველობაზეც კი, სადაც ფაკულტეტის გუნდის შემადგენლობაში საოცარი შემართებით, თავდაუზოგავად იბრძოდა გამარჯვებისათვის. და ეს იყო ის სპორტსმენი, რომელსაც იცნობდა საბჭოთა კავშირი და ევროპა. ნოდარ ჯორჯიკიაში ბედნიერად იყო შერწყმული სპორტული და ინტელექტუალური საწყისები, ისინი არასოდეს დაშორიშორებულან, რაც ნოდარს ერთობ გონიერ, განათლებულ მიზანმიმსწრაფ და ჰარმონიულ პიროვნებად წარმოგვისახავდა. მახსოვს, როგორ ერთბაშად მოვნახეთ საერთო ენა ერთ გუნდში ყოფნისას. იგი ჩემი იდეალი იყო. ჩვენ ფაქტიურად ერთი ამპლუის მოთამაშეები ვიყავით. მაგრამ ზუსტად გვქონდა მონიშნული და განსაზღვრული ჩვენი ადგილი გუნდში. როგორც კი ნოდარ ჯორჯიკიამ დაატყო, რომ მე ოსტატობა მომემატა და შემეძლო მისი შეცვლა, მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კეთილშობილი სპორტსმენი იყო და დატოვა გუნდი. დამეთანხმებით, ეს ბევრ დიდ სპორტსმენს არ შეუძლია, ნოდარ ჯორჯიკიას კი იმხანად თამაშის ძალაც შესწევდა და უნარიც“.

„დინამოში“ მოსვლამდე გურამ მინაშვილს, ცხადია, ჰყავდა მასწავლებლები, რომელთაგან თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად გამოძერწა ნაღდი სპორტსმენიც და მოქალაქეც. წარუვალი მნიშვნელობის სპორტული და ზნეობრივი გაკვეთილები მიიღო მან შალვა დიასამიძისაგან, მიხეილ კეკელიძისაგან, რომლებმაც თავიანთი ნიჭიერი მოწაფე თბილისის „დინამოს“ მწვრთნელს გიორგი ავალიშვილს გადააბარეს. ამ ტრიადას გამოჰყავდა კალათბურთის სარბიელზე გურამ მინაშვილის თაობის თითქმის ყველა ყმაწვილი, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს დედაქალაქში მაინც.

„— კალათბურთს შემთხვევით არ დავკავშირებივარ. უნივერსიტეტის პირდაპირ ვცხოვრობდი და, ვისაც ის დრო ახსოვს, იცის, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელში სპორტის დიდი ქომაგისა და მფარველის, მაშინდელი რექტორის ნიკო კეცხოველის მცდელობით სპორტული ცხოვრება დუღდა. მე ხშირად ვადევნებდი თვალს კალათბურთელთა ვარჯიშს უნივერსიტეტის ღია მოედანზე. მახსოვს ნოდარ ჯორჯიკიას, ლევან ინწკირველისა და სხვათა თამაში. იქ სიარულმა ის საქმე გააკეთა, რომ მე და ჩემს მეგობრებს სამუდამოდ შეგვაყვარა კალათბურთი. ბედად, სწორედ იმ დროს ჩვენს სკოლაში მოვიდა ფიზკულტურის ახალი მასწავლებელი ვახტანგ მარსაგიშვილი. ეს ღვთისნიერი კაცი მოსვენებას არ გვაძლევდა, რომელიმე სექციაში ჩაეწერეთო. ერთ მშვენიერ დღეს კი მიგვიყვანა შალვა დიასამიძესთან, ორჯონიკიძის რაიონის სპორტსკოლის მწვრთნელთან. მე მოვხვდი ჩემს პირველ მასწავლებელთან იმდროინდელი „საკალათბურთო ცხოვრების“ შუაგულში, კიროვის პარკში.

შალვა დიასამიძე პროგრესული შეხედულებების მწვრთნელი იყო. მახსოვს, არასოდეს იფარგლებოდა მარტოოდენ პრაქტიკული მოღვაწეობით, ეცნობოდა, სწავლობდა, კალათბურთისადმი მიძღვნილ უახლეს ლიტერატურას. არ ვიცი საიდან, მაგრამ ამერიკული გამოცემებიც კი ჰქონდა კალათბურთზე. საერთოდ, მეტად სამართლიანი, მაგრამ მომთხოვნი მწვრთნელი იყო. მის ჯგუფში მხოლოდ საუკეთესო, პერსპექტიულ მოზარდებს მიესვლებოდათ. დიასამიძის გუნდში მოხვედრა ძალიან ძნელი იყო და ამიტომ მის მოწაფეებს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა გვქონდა.

თამაში თოთხმეტი წლისამ დავიწყე. რომანტიკული ასაკი იყო, თუმცა ცხოვრება ჭირდა. არ გვქონდა სპორტული ფორმა, არც სპეციალური ფეხსაცმელი. შხაპზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. ვთამაშობდით იმ ტანსაცმლით, რასაც ვშოულობდით. ერთხელ ფეხსაცმელს ქუსლიც კი ავაგლიჯე, რომ მეთამაშა. მაგრამ ამ სიძნელეებს კალათბურთისადმი სიყვარული არათუ არ გაუნელებია, გაგვიძლიერა კიდეც. ასეა ალბათ: ის, რაც ძნელად გეძლევა, უფრო საყვარელიც ხდება.

ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე უნდა ვთქვა, რომ ჩემი თაობის ბიჭებს მალე გავუსწარი. მიზეზი, ალბათ, ერთია: მე სხვებზე შრომისმოყვარე ვიყავი, არ ვჯერდებოდი კიროვის პარკში ვარჯიშს და უნივერსიტეტის მოედანზე დამატებით ვთამაშობდი. ეს, ცხადია, უპირატესობას მანიჭებდა.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ მხოლოდ კალათბურთით ვცხოვრობდით. იმ წლებში გაიღვიძა ჩვენში სიყვარულმა ლიტერატურისადმი, ხელოვნებისადმი. კალათბურთელებს ჩვენი თაობის ახალგაზრდები გამორჩეულ ხალხად გვთვლიდნენ და ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ სპორტს ჩვენ არ შევუზღუდივართ, პირიქით, განათლებისაკენ გვიბიძგებდა. მაგალითად, სკოლაში მიღებულ ჩემს ოქროს მედალს მე დღემდე არანაკლებ ვაფასებ, ვიდრე ჩემსავე უმაღლეს სპორტულ ჯილდოებს.

პირველი სერიოზული შეჯიბრება სოხუმში მქონდა. ეს იყო საქართველოს მოსწავლეთა პირველობა. იქ შემამჩნია ჩემი თამაში მწვრთნელმა მიხეილ კეკელიძემ, იმხანად თბილისის განათლების განყოფილების ანუ „ტონის“ გუნდის მწვრთნელმა. ამ ადამიანს განსაცვიფრებლად მახვილი თვალი ჰქონდა: ათას ყმაწვილში შეუცდომლად შეეძლო გამოეცნო პერსპექტიული კალათბურთელი, თანაც ერთი შეხედვით. ასეთივე დიდებული სელექციონერი გახლდათ მისი ქუთაისელი კოლეგა სულიკო თორთლაძე, რომელიც მასთან წლების მანძილზე მეგობრობდა და თანამშრომლობდა. ამ თანამშრომლობამ ქართულ კალათბურთს, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდს, დიდი სარგებლობა მოუტანა.

მიხეილ კეკელიძე ბევრ რამეში ჰგავდა შალვა დიასამიძეს. ისეთივე სამართლიანი, მკაცრი, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოყვარული, არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო. იგი ცდილობდა თავისი მოწაფეები ჰარმონიულად აღეზარდა: ერთდროულად ჩაენერგა მათთვის სპორტისა და ცოდნის, წიგნის თაყვანისცემა. ჰქონდა იშვიათი უნარი, თამაშის მსვლელობაში საბრძოლო სულისკვეთება და თავგანწირვა შთაეგონებინა კალათბურთელთათვის. მისი გუნდის წევრები გამოირჩეოდნენ არა მარტო ოსტატობით, არამედ დიდი ბრძოლისუნარიანობით, მეგობრობით, შეგნებითა და განათლებითაც. მას არ ჰყოლია გამორჩეულად საყვარელი აღსაზრდელები. ძლიერი და საშუალო სპორტსმენები მის გამუდმებულ ყურადღებას თანაბრად გრძნობდნენ. პრივილეგია გუნდში არავის ენიჭებოდა და ამიტომ ძია მიშას მოწაფეები გამოირჩეოდნენ ჯანსაღი კოლექტიური განწყობილებით, მათ შეეძლოთ ყველაფერი გაეკეთებინათ და ზოგჯერ იმაზე მეტიც, ვიდრე შეეძლოთ, საყვარელი მასწავლებლის ხათრით.

ბედნიერი კაცი ვარ, რომ ასეთი მწვრთნელები მყავდა. ეს სავსებით ეხება შესანიშნავ პედაგოგსა და აღმზრდელს გიორგი ავალიშვილსაც, რომელიც უკვე თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში მიწევდა მეურვეობას. საოცარ სისპეტაკეს, პატიოსნებას ასხივებდა. მის წინაშე მუდამ განსაკუთრებულ მოწიწებას ვგრძნობდი. არასოდეს გააცდენდა ვარჯიშს, მისთვის არ არსებობდა საპატიო თუ არასაპატიო მიზეზი, ნიადაგ სიკეთისაკენ ილტვოდა და ჩვენც ამ წმინდა გრძნობას გვინერგავდა“.

გურამ მინაშვილი ჩვიდმეტი წლისა მოვიდა თბილისის „დინამოში“. იმ წელიწადს „დინამო“ ქვეყნის ჩემპიონი გახდა, თუმცა არც მინაშვილსა და არც მის სეხნიას გურამ აბაშიძეს ოქროს მედლები არ რგებიათ. უბრალოდ, ეს ნიჭიერი კალათბურთელები მაშინ ის-ის იყო ფეხს იკიდებდნენ ახალ კოლექტივში და სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. რამდენიმე მატჩი, ისიც სუსტ გუნდებთან, საკმარისი არ აღმოჩნდა მედლის მისაღებად. აი, აქედან იწყება გურამ მინაშვილის გამოსვლა დიდი კალათბურთის სარბიელზე.

მერე იყო 1961 წელი, ქართული კალათბურთის უდიდესი აღზევების წელი, როცა თბილისის „დინამომ“ ჟენევაში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების გადამწყვეტ მატჩში სძლია სახელგანთქმულ მადრიდის „რეალს“, და, ცხადია, ამ გამარჯვებაში კაპიტანმა გურამ მინაშვილმაც შეიტანა თვალსაჩინო წვლილი. მანამდე იყო მაირანოს თასის გათამაშება ბოლონიაში, სადაც 1958 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გურამ მინაშვილმა საუკეთესო მოთამაშეებისათვის დაწესებული პრიზი დაისაკუთრა. მომდევნო წელს ნაკრები კალათბურთის სამშობლოში გამოვიდა და გურამი იქაც ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მოგვიანებით ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე გომელსკი წერდა, როგორ მივიდა მასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესიონალთა გუნდის მენეჯერი და შესთავაზა გურამ მინაშვილთან კონტრაქტის დადება სამი წლის ვადით. 1960 წელს გურამმა რომის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი მოიპოვა...

საუბარი დასასრულს უახლოვდება. ჩვენი მოგონებები რატომღაც ისე წარიმართა, რომ შეჯიბრებებზე ნაკლებად გავამახვილეთ ყურადღება, ალბათ იმიტომ, რომ მინაშვილ-კალათბურთელზე ბევრია დაწერილი და გამეორება საჭიროდ აღარ ჩავთვალე.

კალათბურთი თითქოს უკან დარჩა, იქ, სადაც თავის დროზე დატოვა იგი ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა გურამ მინაშვილმა. ახლა იგი საუბრობს კუპრინზე, ოსკარ უაილდზე, გალაკტიონზე... ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის უპირველესი სიყვარული დღესაც ლიტერატურა გახლავთ.

**არჩილ გოგელია.**

# სპორტული რუსთავი

## იუბილეს ეძღვნება

**გეორგიევსკის** ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება რუსთავის საქალაქო პირველობა. უკვე გაიმართა შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში, ძალოსნობასა და მხატვრულ ტანვარჯიშში.

ქიმიური ქარხნის სპორტულ კომპლექსში ჩატარდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა (1966-1968 წწ. დაბადებულნი) შეჯიბრება. ჩემპიონები გახდნენ რ. მანაგაძე, დ. დალაქიშვილი, ბ. აფციაური, გ. ზედგენიძე, რ. ბერუაშვილი, ე. აბრამიშვილი, გ. ხორგუაშვილი, მ. სარალაშვილი (ყველანი — სპორტსკოლა), ზ. ხუციშვილი, ი. თიგიევი, ლ. სიმონიშვილი (სამივე — სპორტკლუბი „ფოლადი“). გუნდური პირველი ადგილი სპორტსკოლის მოჭიდავეებმა მოიპოვეს.

ძალოსნობაში პირველი ადგილი დაიკავეს გ. ტირობიანმა, ა. მახმუდოვმა, რ. ოსმანოვმა, ნ. მაკოევმა, ა. ლობჟანიძემ, ზ. დარჩიაშვილმა და ნ. ქავთარაძემ.

მხატვრულ ტანვარჯიშში სპორტის ოსტატის პროგრამით მოასპარეზეთა შორის გაიმარჯვა მ. ტუხაშვილმა.

## პერსპექტიულთა შერჩევის მიზნით

**რუსთავის** მე-19 საშუალო სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა მძლეოსნობას. ამიტომაა, რომ ამ სკოლის მოსწავლეებმა ზედიზედ 13-ჯერ გაიმარჯვეს მძლეოსნურ ესტაფეტაში, რომელიც აქ ყოველწლიურად ტარდება.

საუკეთესო მორბენლების შერჩევის მიზნით „მეტალურგის“ სტადიონზე მოეწყო მოსწავლეთა შეჯიბრება. აქ 500-ზე მეტი მოსწავლე გამოვიდა (მეხუთედან მერვე კლასის ჩათვლით) 60 მეტრზე რბენაში, ხოლო მეცხრე-მეათე კლასის მოსწავლეებმა 100 მეტრზე იასპარეზეს.

პირველ დისტანციაზე გოგონებში ყველას აჯობა ჰ. ისლამიდიმ, [illegible] ბიჭებში — ა. ვასილევმა, ხოლო მეორეზე — შესაბამისად ს. კლიმოვამ და ო. კლეპიკოვმა.

**რ. გაბრიძე.**

## ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ზონა

**„სპარტაკი“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:4. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).**

გოლები: ანდღულაძე, უგრეხელიძე, კირაკოსიანი („სპარტაკი“), ჩიქობავა—2, ფართალია, შიოლაშვილი (ფიზკ. ინსტ.).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:1. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).**

**„სამგორი“ (გარდაბანი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

გოლები: გაფიშვილი—2 („სამგორი“), დოლიძე, უგულავა („მადნეული“).

**„თორი“ (ბორჯომი) — „არმაზი“ (მცხეთა) 4:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

გოლები: კურტანიძე—2, გაჩეჩილაძე, გიგიშიძე („თორი“), ზუკაკიშვილი („არმაზი“).

**„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 4:0. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).**

გოლები: ქადაგიშვილი—2, გოგინაშვილი, არევაძე.

**„ავტომობილისტი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).**

ბურთი გაიტანა ჰინჰარაულმა.

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).**

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „შევარდენი“ (თბილისი) 1:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

გოლები: ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“), ჟორჟიკაშვილი, ბანცური („შევარდენი“).

**„ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:3. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).**

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

გოლები: მაისურაძე, კანთელაძე, კირაკოსიანი („სპარტაკი“), ტალახაძე—2 („დურუჯი“).

**„ავტომობილისტი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 5:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

გოლები: ჯინჭარაძე—2, ბურჩუმელია—2, კახიშვილი („ავტომობილისტი“), კეპაშვილი („ქართლი“).

#### დასავლეთი ზონა

**„საირმე“ (მაიაკოვსკი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 4:3. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

**„დინამო“ (გაგრა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).**

გოლები: ტესლენკო—2 („დინამო“), კვანტალიანი („სალხინო“).

**„მზიური“ (გალი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:0. მსაჯი ვ. ჩინოიანი (მახარაძე).**

გოლები: ზაქარაია, ზ. კვეკვესკირი, ყოლბაია.

**„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).**

გოლები: ოსეფაშვილი—2 („ბახმარო“), ლონლაძე („შუქურა“).

**„იმერეთი“ (წულუკიძე) — „სულორი“ (ვანი) 4:6. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

გოლები: ბერძენიშვილი—3, ზარანდია („იმერეთი“), მელიქია—2, ტკაჩენკო—2, ტყეშელაშვილი, ბრეგვაძე („სულორი“).

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 3:2. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

გოლები: ლაბაძე—2, კაშია („მეტალურგი“), გ. როგავა—2 („ენგური“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:3. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).**

**„მალაროელი“ (ჭიათურა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

ბურთი გაიტანა გურულმა.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „ენგური“ (ზუგდიდი) 2:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

გოლები: გაბელაია, კვირტია („სქური“), შეროზია, თორია, როგავა („ენგური“).

### საქართველოს პირველობა

#### გათამაშების ცხრილები

##### აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 22 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალ.“ | 30 | 17 | 8 | 5 | 65—29 | 42 |
| „ჰერეთი“ | 30 | 16 | 9 | 5 | 50—30 | 41 |
| „კახეთი“ | 29 | 17 | 6 | 6 | 49—23 | 40 |
| „ავტომ.“ | 30 | 15 | 9 | 6 | 51—25 | 39 |
| „შევარ.“ | 30 | 13 | 10 | 7 | 43—24 | 36 |
| „ივერია“ | 29 | 14 | 7 | 8 | 50—38 | 35 |
| „არმაზი“ | 31 | 12 | 7 | 12 | 44—49 | 31 |
| „სამგორი“ | 31 | 9 | 13 | 9 | 45—38 | 31 |
| „დურუჯი“ | 28 | 11 | 8 | 9 | 56—45 | 30 |
| „თორი“ | 30 | 10 | 10 | 10 | 41—44 | 30 |
| „სპ.“ ცხ. | 30 | 13 | 3 | 14 | 62—56 | 29 |
| „მადნ.“ | 30 | 11 | 7 | 12 | 50—39 | 29 |
| „სპ.“ თბ. | 30 | 9 | 9 | 12 | 58—51 | 27 |
| პოლ. ინს. | 29 | 5 | 17 | 7 | 31—42 | 27 |
| ფიზ. ინ. | 29 | 8 | 6 | 15 | 35—50 | 22 |
| „ალაზანი“ | 30 | 8 | 5 | 17 | 49—67 | 21 |
| „ქართლი“ | 30 | 6 | 9 | 15 | 41—80 | 21 |
| „ლოკომ.“ | 30 | 2 | 1 | 27 | 19—109 | 5 |

##### დასავლეთი ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამგურ.“ | 31 | 18 | 7 | 6 | 61—27 | 43 |
| „დინ.“ ზგ. | 32 | 18 | 6 | 8 | 61—44 | 42 |
| „მზიური“ | 32 | 18 | 5 | 9 | 56—34 | 41 |
| „სულ.“ | 32 | 17 | 7 | 8 | 59—41 | 41 |
| „საპოვნ.“ | 32 | 15 | 9 | 8 | 56—35 | 39 |
| „სამეგ.“ | 32 | 14 | 4 | 14 | 63—47 | 32 |
| „სქური“ | 32 | 13 | 6 | 13 | 44—55 | 32 |
| „ამირანი“ | 33 | 12 | 7 | 14 | 53—67 | 31 |
| „დინ.“ გ. | 33 | 12 | 6 | 15 | 52—65 | 30 |
| „ბახმ.“ | 33 | 11 | 8 | 14 | 32—43 | 30 |
| „სალხ.“ | 32 | 10 | 10 | 12 | 47—57 | 30 |
| „კოლხ.“ | 32 | 9 | 12 | 11 | 54—61 | 30 |
| „იმერ.“ | 31 | 10 | 8 | 13 | 53—55 | 28 |
| „საირმე“ | 32 | 11 | 5 | 16 | 42—51 | 27 |
| „მაღარ.“ | 30 | 10 | 7 | 13 | 47—44 | 27 |
| „მეტალ.“ | 31 | 9 | 9 | 13 | 52—49 | 27 |
| „ეგრისი“ | 32 | 9 | 9 | 14 | 47—55 | 27 |
| „ენგური“ | 30 | 10 | 9 | 15 | 28—52 | 25 |
| „შუქურა“ | 32 | 7 | 8 | 17 | 48—73 | 22 |

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ზონა

„იბერია“ (ქარელი) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:1, „განთიადი“ (კასპი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 3:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:5, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „იმედი“ (რუსთავი) 3:0, „ალგეთი“ (მარნეული) — „მაშავერა“ (დმანისი) 3:1.

#### დასავლეთი ზონა

„გიგანტი“ (ლაითური) — „რაჭა“ (ამბროლაური) 2:0, „სენაკი“ (ცხაკაია) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 1:1, „კოლმეურნე“ (დვაბზუ) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:1, „ოდიში“ (ზედა ეწერი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 4:2, „კოლხიდმშენი“ (ფოთი) — „ავიატორი“ (სოხუმი) 3:0, „ბზიფი“ (გუდაუთა) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 1:3, „თოლია“ (ბათუმი) — „ნაპერწკალი“ (ოჩამჩირე) 4:1, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „ხვამლი“ (ცაგერი) 2:1.

#### ზონალური პირველობა

„კოლმეურნე“ (ორპირი) — „ნარინჯი“ (გონიო) 2:1, „მეავეჯე“ (ქუთაისი) — „კოლმეურნე“ (კახათი) 3:2, „მეშაქრე“ (აგარა) — „იორი“ (თიანეთი) 1:0.

## 11-მეტრიანი უდისციპლინოთა კარში

**მსაჯის** სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს გორის რაიონის „ქართლის“ ფეხბურთელი ბ. გილიგაშვილი (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თ. ქიმერიძე), ვ. ჩაზმავა (ქობულეთის „შუქურა“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ჯ. არობელიძე), ბ. ებანოიძე (მაიაკოვსკის „საირმე“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. ფერაძე).

წლევანდელ სეზონში მეორედ გააფრთხილეს მ. ოჩარაშვილი (თბილისის „ავტომობილისტი“, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ თავმჯდომარე ო. კალაძე), გ. გიორგაძე და მ. გორბატოკი (ორივენი — ჩოხატაურის „ბახმარო“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ჩხიკვაძე).

სხვადასხვა დანაშაულისთვის გააფრთხილეს შემდეგი ფეხბურთელები: გ. კირვალიძე (თელავის „კახეთი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. სახიევი), ნ. კახიშვილი (თბილისის „ავტომობილისტი“, სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“), მ. ბერაია (პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ფიზაღზრდის კათედრის გამგე ჯ. ბაგრატიონი), გ. წვერავა (ლაგოდეხის „ჰერეთი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ი. ჯალიაშვილი), თ. შედანია (კახათის „კოლმეურნე“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. ხუფენია), მ. კიუტი (ტყვარჩელის „შახტიორი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვ. შაკაია), მ. სილაგაძე (თერჯოლის „საპოვნელა“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. სვინტრაძე).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

## დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ხარკოვის „მეტალისტს“ შორის.

შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 2:0.

თბილისის დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: რუხაძე, ფრუიძე, ჭედია, დანელია, არზიანი, ლოგუა (მახარაძე), კაპანაძე (მიქამერიძე), ჯოხაძე, გოდერიძიანი, ჟორჟიკაშვილი, ჩქარეული (ბარათაშვილი).

## ამონაწერი დებულებიდან

როგორც ვიტყობინებოდით, დღეს იწყება II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ზონებში გამარჯვებული 9 გუნდის ტურნირები. 3 ჯგუფში გამარჯვებულნი გაისად გამოვლენ I ლიგაში.

გათამაშების დებულებით ჯგუფებში გამარჯვებულნი გამოვლინდებიან დაგროვილ ქულათა მეტი რაოდენობით. თუ სამივე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა, პირველი ადგილი მიეკუთვნება მას, ვისაც მეტი გამარჯვება ექნება ტურნირში, ამ მაჩვენებლის თანაბრობისას პირველობის მფლობელს გამოავლენს ერთმანეთთან ნათამაშევი მატჩების შედეგები, შემდეგ — ყველა მატჩში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა და, ბოლოს, ტურნირის ყველა შეხვედრაში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა.

თუ I ადგილისთვის მებრძოლთაგან ქულათა თანაბარი რაოდენობა 2 გუნდს აღმოაჩნდა, მაშინ უპირატესობა განისაზღვრება ერთმანეთთან ჩატარებული მატჩების მიხედვით, შემდეგ — მხედველობაში მიიღებენ ბურთების უკეთეს სხვაობას ტურნირის ყველა მატჩში და თუ ეს მაჩვენებელიც ერთნაირი იქნა, უპირატესობა განისაზღვრება მთელ ტურნირში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობით,

გამარჯვების პრეტენდენტ გუნდებს ყველა ეს მაჩვენებელი თუ ერთნაირი ექნათ, I ადგილის საკითხს წილისყრა გადაწყვეტს.

### ხელფასი... ქალაქის მოედანზე

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დორტმუნდის „ბორუსიას“ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო თავისი რამდენიმე ფეხბურთელით იმის გამო, რომ მათ არ სურდათ მაქსიმალური ენერგიით ეთამაშათ და „ზედმეტი“ ოფლი დაეღვარათ. კლუბის დირექტორატმა ასეთ ხერხს მიმართა: ზარმაც ფეხბურთელებს ხელფასს ურიგებდა დორტმუნდის ცენტრალურ მოედანზე, თანაც მოთამაშეებს აძლევდა მხოლოდ თითომარკიან კუპიურებს.

ხელფასის გაცემის ამ კომიკურ „ცერემონიალს“, როგორც წესი, ესწრებოდნენ ფეხბურთის მოყვარულები, ქალაქის მოედანზე იყო ერთი სტვენა და სიცილხარხარი.

ამ ხერხმა გაჭრა: ზარმაც ფეხბურთელთაგან ბევრმა საგრძნობლად მოუმატა თამაშს, ვინაიდან არავის უნდა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მასხარად აგდებინოს თავი ბრბოს და თითომარკიანი კუპიურებით დაიტენოს ჯიბეები.

### გამოსავალი მოძებნა

დასავლეთგერმანული ფეხბურთელი ჰანს მიულერი თავდაჭერილი, კორექტული მოთამაშეა და იშვიათად არღვევს წესრიგს, მაგრამ ამას წინათ იგი, სრულიად მოულოდნელად, უხეშად შეეკამათა მსაჯს, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა.

ჰ. მიულერის საკითხი განიხილეს სადისციპლინო კომისიაზე და 2 კვირით აუკრძალეს თამაში. თავის სიტყვაში ფეხბურთელმა თქვა: „მეც ეს მინდოდა. სწორედ ორი კვირის შვებულება მჭირდება, რათა დიუსელდორფში ხელი. მოვაწერო ჩემს საცოლესთან და ორი კვირა მასთან გავატარო. სხვა გამოსავალი ვერ მოვძებნე, ვინაიდან კლუბის ხელმძღვანელობა შვებულებას არ მაძლევდა“.

### ფეხბურთი... ტალახზე

ფეხბურთი ყველას გვიყვარს და მატჩებსაც სიამოვნებით ვუცქერით, მაგრამ, თურმე, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს სხვა, არანორმალური ფეხბურთიც. ჩვეულებრივ მოედანზე ასხამენ სპეციალურად დამზადებულ ტალახს და ამ პირობებში მართავენ შეხვედრებს. უკვე 13 წელია მიმდინარეობს ასეთი თამაშები ნიუ-გემპშირის შტატის ქალაქ კონკორდის სტადიონზე, თუმცა იქაური პრესა აქამდე დუმილით უვლიდა გვერდს ასეთ „საფეხბურთო“ მატჩებს, მხოლოდ ახლა, როცა „ტალახის ფეხბურთელებმა“ გაითამაშეს რაღაც ეროვნული თასის მაგვარი, გაზეთებშიც გამოჩნდა სარეცენზიო წერილები და ფოტოსურათები.

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

#### მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

მსოფლიოში ბოლო ხანს მრავალი ახალი საფეხბურთო შეჯიბრება დაწესდა და, როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ინგლისის ასოციაციას დაავალა სამზადისი გასწიოს საკლუბო გუნდების პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად.

ამ ახალ შეჯიბრებაზე ოფიციალურ ფეხბურთო წრეებში დიდი ხანია ლაპარაკობენ. ბევრია იმის მომხრე, რომ დაწესდეს მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო გუნდის გამოსავლენი ოფიციალური ტურნირი, რომელიც გაცილებით უფრო სოლიდური და წარმომადგენლობითი იქნება, ვიდრე ახლანდელი საკონტინენტთაშორისო თასის მატჩები.

პირველი მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი განზრახულია 1985 წელს მოეწყოს ინგლისში 12 გუნდს შორის. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ტურნირში მონაწილეობა უნდა მიიღოს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის 4-4 საუკეთესო გუნდმა, დანარჩენი 4 ადგილი გათვალისწინებულია სხვა კონტინენტების გუნდებისთვის.

ახალი ტურნირი ყოველ 4 წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს.

#### მკაცრად დაისაჯა

ბილბაოს „ატლეტიკის“ მცველმა გოიკოეჩეამ ესპანეთის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში მძიმედ დაამავა განთქმული არგენტინელი ფეხბურთელი მარადონა („ბარსელონა“), რომელიც, ექიმების მოწმობით, წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გოიკოეჩეა მკაცრად დასაჯა. მას ისიც გაუხსენეს, რომ 1982 წელს მძიმე ტრავმა მიაყენა „ბარსელონის“ სხვა ცნობილ ფეხბურთელს, გფრ-ის ნაკრების წევრს ბ. შუსტერს, რომელიც შემდეგ 5 თვე მკურნალობდა. „ატლეტიკის“ მცველი დისკვალიფიცირებული იქნა 18 თამაშით. „ატლეტიკის“ მესვეურთა თხოვნით ფეხბურთის ფედერაციამ 18 შეუცვალა 10 თამაშით.



## „ოქროს თავთავის“ პრიზი მოიპოვეს

**მახარაძეში** გაიმართა საკავშირო სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ თასის გათამაშება სოფლის ფეხბურთელთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ სომხეთის, ლიტვის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და საქართველოს (2) კოლექტივები. რესპუბლიკის I გუნდის სახელით გამოდიოდა თასის შარშანდელი მფლობელი. მახარაძის რაიონის სოფ. ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივი, ხოლო II გუნდის სახელს იცავდნენ ყვარლის რაიონის სოფ. ქინძმარაულის მევენახეობის მეურნეობის ფეხბურთელები.

გათამაშება კარგად ჩაატარეს ლაითურელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც 10 ქულით I ადგილი მოიპოვეს, გუნდის წევრებს მიენიჭათ სპორტის ოსტატის კანდიდატთა წოდება. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ყაზახეთისა და მოლდავეთის წარმომადგენლები.

**ვ. შავდია,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

● ● ●

**ს უ რ ა თ ზ ე: „ოქროს თავთავის“ თასის მფლობელი — მახარაძის რაიონის სოფ. ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმის გუნდი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტილბურგის ტურნირზე

ტილბურგის (ჰოლანდია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში VIII ტურის პარტიები გათამაშდა.

ყაიმზე შეთანხმდნენ კარპოვი — ტიმანი, ლიუბოევიჩი — ანდერსონი, პოლუგაევსკი — ვაჰანიანი და სპასკი — ჰიუბნერი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლ. პოლუგაევსკი — 4,5 ქულა, ა. კარპოვი და ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია.

## სტურუას ახალი წარმატება

ბათუმში დამთავრდა არმიელ მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც 12 ცნობილი ოსტატი და 2 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა ზ. სტურუამ — 9 ქულა. II ადგილზეა ოსტატი ი. კოზლოვი — 8,5. III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ს. ბუტურინმა, ა. გოლდინმა და ოსტატობის კანდიდატმა ა. ანასტასიანმა — 8-8.

ახალგაზრდა ანასტასიანმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

ჰ. არნშტეინი.

● ჭადრაკი

## შემასპინძლებს ვილნიუსი

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა ქალთა 43-ე საკავშირო ჩემპიონატი ოდესიდან ვილნიუსში გადაიტანა და სტარტი შუა ნოემბერს დანიშნა.

ჩემპიონატის წინ, საგანგებოდ, სამი ნახევარფინალური ტურნირი ჩატარდა.

როგორც ვიუწყებოდით, ფინალის საგზურები ქუთაისის ნახევარფინალში მიიღეს: კ. ბაგინსკაიტემ (ვილნიუსი), ო. პედკომ (ჩელიაბინსკი), ტ. ფომინამ (ტალინი) და თ. ხუგაშვილმა (თბილისი), კიშინიოვის ნახევარფინალში — ე. ახმილოვსკაიამ (ბიჭვინთა), ი. ერუსლანოვამ (მოსკოვი), ც. კახიანიშვილმა (თბილისი) და ი. ოსტრიიმ (ფრუნზე).

მესამე ნახევარფინალში, რომელიც ვოლგოგრადში ჩატარდა, ფინალისტები გახდნენ ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვის ოლქი), ნ. რუჩიევა (მოსკოვი), ლ. მუჩნიკი (ნიკოლაევი) და რ. იედელსონი (მინსკი).

● კრივი

## ფინალში გამოვიდნენ

გუშინ რომის „პალაცო დელო სპორტის“ რინგზე დამთავრდა მოკრივეთა მსოფლიო თასის გათამაშება.

ამ პრესტიჟული ასპარეზობის ფინალში მონაწილეობდნენ ტყავის ხელთათმანის საბჭოთა ოსტატები: ბ. ესყანოვი, ს. ნურკაზოვი, ვ. შიშოვი, ვ. ლაპტევი, ვ. კაჩანოვსკი, ა. იაგუბკინი. გამარჯვებულთა ვინაობა გვიან ღამით გაირკვა.



სურათზე: „ვინდგლაიდერებით“ ტალინის ყურეში.

საკდეხის ფოტო.

### ხელმოწერილი დემპსი

ზოგი გამოჩენილი ამერიკელი მოკრივე ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, მის ოჯახს დასამარხი ფულიც კი არ აღმოაჩნდა. ჯეკ დემპსი, რომელიც 88 წლისა გარდაიცვალა, სულ სხვანაირი კაცი იყო. იგი თავისი კარიერის მანძილზე მძიმე წონის პროფესიონალებს შორის (მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ 1919-1926 წლებში, 60 მატჩი მოიგო, აქედან 49 ნოკაუტით, მხოლოდ 7 წააგო), მეთოდურად აგროვებდა... ფულს.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა დემპსის რესტორანი ბროდვეიზე. აქ მისვლა კარგ ტონად ითვლებოდა, განსაკუთრებით მსხვილი ამერიკელი საქმოსნებისათვის. დემპსის რესტორანს ეწვეოდნენ ხოლმე მისი ყოფილი მეტოქეებიც: ჟორჟ კარპანტიე, ჯონ ტუნეი და სხვები. აქ შეიძლებოდა ძვირად ღირებულ კოკტეილის „დემპსის დარტყმის“, „დემპსის ნოკდაუნისა“ თუ „დემპსის ნოკაუტის“ დალევაც. ზოგ კლიენტს იმის ნებაც კი ჰქონდა, რომ წასვლის წინ მოხუც დემპსისათვის მხარზე ხელი მოეთათუნებინა!

### „დაიტოვეთ, თუ გნებავთ!“

თავის დროზე მთელმა მსოფლიომ შეიტყო, ცნობილი ესპანელი ფეხბურთელის კინის ამბავი, რომელიც განგსტერებმა მოიტაცეს და ამით ფეხბურთის სამყარო დიდად აალელვეს.

ამ ამბავთან რა მოსატანია, მაგრამ იტალიელმა განგსტერებმა ამას წინათ ცნობილ ინგლისელ ფეხბურთელ ტრევორ ფრენსისს (იგი გენუის „სამპდორიაში“ გამოდის) ცოლი მოსტაცეს. გამტაცებლებმა ფრენსის წერილი გაუგზავნეს და ცოლის საფასურად ფეხბურთელს მილიონი გირვანქა სტერლინგი მოსთხოვეს. ფრენსისის პასუხი ასეთი იყო: „თუ გნებავთ, თქვენი იყოს“. მისის ფრენსისი მეორე დღესვე სახლში დაბრუნდა.

### შეთავსებით...

ფორესტ-ჰილის (აშშ) დიდი საერთაშორისო ტურნირის დაწყების წინ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო აშშ-ს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა ვიტას გერულაიტისმა, რომელიც შეჯიბრებაზე ელექტროგიტარით მოვიდა პირდაპირ კონცერტიდან... სადაც იგი კარლოს სანტანას ანსამბლში გამოდიოდა.

### „დიდი მამის პატარა შვილი“

განთქმული ფრანგი კინომსახიობი ჟან-პოლ ბელმონდო ბავშვობიდანვე სპორტით ყოფილა გატაცებული. ახლა მას განსაკუთრებით კრივი, კარატე და ავტორბოლა აინტერესებს. სპორტის დიდი ტრფიალია მისი შვილი, 20 წლის პოლიც, რომელიც მამასთან ერთად რამდენიმე ფილმში გადაიღეს. ჟან-პოლ ბელმონდოსაგან განსხვავებით, ახალგაზრდა პოლი სულაც არ აპირებს პროფესიული კინომსახიობი გახდეს. მან ავტომრბოლის პროფესია აირჩია და აი, რატომ. მე არ მინდა „დიდი მამის პატარა შვილს“ მიწოდებდნენ. მირჩევნია, როცა მამაჩემი ჩვეულებისამებრ ავტორბოლაში იასპარეზებს, მას ჰკითხონ: „თქვენ, შემთხვევით, დიდ ავტომრბოლ პოლ ბელმონდოს ნათესავი ხომ არა ხართ?“.

წიგნის თარო

## ფეხბურთის თემაზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ცნობილი ჟურნალისტის ფილიპე მახარაძის საინტერესო წიგნი „მოგზაურობა და ერთგულება“, რომელშიც 41 წერილი და ნარკვევია დაბეჭდილი. ნარკვევებში „ტანგოს სამშობლოში“ და „ბრაზილიის ცის ქვეშ“ ლაპარაკია ფეხბურთზეც. მკითხველს ვთავაზობთ ამ ადგილებს...

„არგენტინაში დიდად პოპულარულია ფეხბურთი. იგი აქ სასოცრად უყვართ. მას ყველა ასაკის ადამიანი ემონება. აქ შევხვდი არგენტინელს, რომელსაც ბუენოს-აირესის განთქმული „რივერ პლეიტის“ სტადიონზე საბჭოთა კავშირისა და არგენტინის ნაკრები გუნდების თამაში უნახავს. ფეხბურთის დიდმა მოყვარულმა გაიხსენა:

„მაშინ თქვენმა ბიჭებმა გაიმარჯვეს. ჩვენებმა კი თავჩაქინდრულებმა დატოვეს მინდორი... კარგად მახსოვს იაშინის ვირტუოზული თამაში, მოგვეწონა მეტრეველი და, უპირველეს ყოვლისა, მესხი. მისი ფინტები. მესხი საშიში იყო როგორც ვულკანი და ლამაზი, როგორც ჩვენი ტანგო... მატჩის შემდეგ ასობით კაცი გადავიდა მოედანზე. ისინი ვერც თხრილებმა და ვერც ეკლიანმა მავთულხლართებმა და პოლიციამ ვერ დააკავეს. თქვენს ფეხბურთელებს ტანზე მაისურებს აგლეჯდნენ — ეს ხომ ყველაზე ძვირფასი სუვენირია. მე ახლაც ვინახავ № 11 მაისურს...“ გამოგიტყდებით, თვალში ცრემლი ჩამიდგა — სიხარულის ცრემლი.

არგენტინელები ამაყობენ თავიანთი მარადონათი, მის ხსენებაზე ყოველ მათგანს თვალები გაუბრწყინდება ხოლმე. ვნახეთ მისი ბრწყინვალე თამაში, მისი უჩვეულო „სლალომი“ სამ-ოთხ მეტოქე ფეხბურთელს შორის...

რიო-დე-ჟანეიროს, ხშირად რომ უბრალოდ რიოს უწოდებენ, გარს აკრავს კორკოვადოს მთა. მისი მწვერვალიდან კარგად ჩანს სახლების მასივები, მარადმწვანე ნარგავებში ჩაფლული ბულვარები. სანაპიროს გასწვრივ აღმართულა სასტუმროები, ბანკები, სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენები. მუშათა გარეუბნებში ვხვდებით ვიწრო ქუჩებს, ღარიბი მოსახლეობა დაბალ, ჰუჰყიან მიწურებშია შეხიზნული, მთის კალთებზე ახორხლილა ფანერის ქოხები, ზოგი თუნუქისაგან, ზოგიც პალმის ტოტებისგან შეუკოწიწებიათ, ზოგიერთებს კი ფურგონები და ძველი მანქანები აქვთ ბინად.

მთის წვერზე აღმართულია ქრისტეს 38-მეტრიანი ფიგურა, რომელიც ქალაქის ყველა წერტილიდან მოჩანს. იგი რკინა-ბეტონისგანაა გაკეთებული. ქრისტეს ხელები გაუშლია და ჯვრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ღამით მონუმენტი განათებულია და როცა სანაპიროდან უყურებ, ფიგურის კონტურები იცრიცება, შვიდასმეტრიან სიმაღლეზე მხოლოდ განათებულ ჯვარს ხედავ.

აი, კოპაკაბანის ცნობილი პლაჟი. შესანიშნავი, თეთრი ქვიშით დაფარული სანაპირო ფართო ზოლად გადაჭიმულა რამდენიმე კილომეტრზე. ბრაზილიელები ამაყობენ ამ პლაჟით, მას არა მარტო მსოფლიოში საუკეთესოდ, არამედ ყველაზე „დემოკრატიულადაც“ თვლიან. მართლაც, კაპიტალისტური სამყაროს საკურორტო ქალაქების პლაჟები ფასიანია, აქ კი პლაჟი უფასოა და ყველას შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს. ამ მხრივ იგი, მართლაც, ყველაზე დემოკრატიულია, ოღონდ სანაპიროს გასწვრივ აღმართული საუცხოო სასტუმროები, ცხადია, უბრალო ხალხისთვის არ არის განკუთვნილი. აქ არც ტანზე გახდა შეიძლება და არც ჩვეულებრივი ტანსაცმლით მოსვლა. სააბაზანო ჯიხურები პლაჟზე არ არის. მობანავენი სასტუმროდანვე საბანაო კოსტიუმებით გამოდიან. კიდევ ერთი წესი: პლაჟზე მხოლოდ ქოლგების შემოტანა შეიძლება, მცხუნვარე მზე რომ მოიჩრდილო. აქვე დახაზულია ფეხბურთის მოედნები, დილიდან საღამომდე არ წყდება ქუჩისა და დამსვენებელთა გუნდების თამაში...

ყველა ქვეყანას რაღაც თავისებურება აქვს. მოსკოვში ჩასულ კაცს აუცილებლად შეეკითხებიან წითელი მოედანი თუ ნახეო, თბილისში — მთაწმინდა, პარიზში — ეიფელის კოშკი, ესპანეთში — ხარების ბრძოლა და ა. შ., ბრაზილიაში ჩასულ უცხოელს კი აუცილებლად ჰკითხავენ: ნახეთ თუ არა „მარაკანის“ სტადიონი? და თუ უარყოფითი პასუხი მიიღეს, გაოცებით შემოგხედავენ.

სიმღერა და ფეხბურთი ბრაზილიელთა ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრებია. ყოველი ფეხბურთის მატჩი ბრაზილიელისთვის დიდი ზეიმია. აქ ასე ამბობენ: თუ სადმე უნდა აღმოცენებულიყო ფეხბურთი, ცხადია, ბრაზილიაში, მაგრამ, დააგვიანესო. მართალი ბრძანებაა: დააგვიანეს, მაგრამ თითქმის ყველას აჯობეს. საკმარისია რამდენიმე დღე დაჰყო რიო-დე-ჟანეიროში, რომ მიხვდეთ თუ რას ნიშნავს სამხრეთამერიკული ფეხბურთი. იგი ერთდროულად ეროვნული სიამაყეც არის და გულშემატკივართა მეგობრობისა და ჩხუბის მიზეზიც. პრესისა და პარლამენტის ცხარე კამათის საგანიც.

ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნაყოფია მსოფლიოში უდიდესი რიო-დე-ჟანეიროს სტადიონი, რომლის დახურული ორიარუსიანი ტრიბუნები 200 ათას მაყურებელს იტევს. ადგილების დიდი ნაწილი ფეხზე დასადგომია და არ ინომრება. სტადიონი სპეციალურად აშენდა 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონატისთვის. აქ არ არის სარბენი ბილიკები. ფეხბურთის მინდორი მაყურებლისაგან გამოყოფილია ბეტონის მაღალი ბარიერით და ორ მეტრამდე სიღრმის თხრილით, რომელიც დიდი ფეხბურთის დროს წყლით ივსება. მხოლოდ ასე შეიძლება მოთამაშეებისა და მსაჯების დაცვა ვნებააშლილი მაყურებლისგან.

ფეხბურთის დღეს ქალაქი მოფუსფუსე სკას ჰგავს. კარგად თქვა ერთმა მოხუცმა ბრაზილიელმა: „ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია! მეგობარი, რომელიც არ მყავს, კინო და რესტორანი, რომელთა ფული არა მაქვს“.

სტადიონზე არის მუზეუმიც. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ იგი. აქ არის ბურთი, რომლითაც ლეგენდარულმა პელემ მე-1000 გოლი გაიტანა და იმ კარის ბადე, რომელშიც ბურთი გაეხვია. ბადის ის ადგილი, რომელსაც ბურთი შეეხო წითელი ბაფთითაა შეკრული. აქვე იყიდება პელეს სიმღერების გრამფირფიტები. პელე ახსოვთ და იხსენებენ ყველგან, სადაც კი ფეხბურთს თამაშობენ და იქაც, სადაც ფეხბურთს არ თამაშობენ. დღესაც დიდი ინტერესით იკითხება მისი ცნობილი წიგნი „მე, პელე“... ბრაზილიაში ათასობით ადამიანმა ანბანი მხოლოდ იმიტომ ისწავლა, რომ ეს წიგნი წაეკითხა. ამისთვის ბრაზილიის განათლების უწყებამ ფეხბურთის ეს კერპი ოქროს მედლით დააჯილდოვა...“

### „სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 43-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 4 (კრივი), 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 18 (მძლეოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 29 (სასტენდო სროლა).

### სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 23 ოქტომბერი. ოქროყანის სპორტული ბაზა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 13 ს., გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „შევარდენი“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი). 14 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოსტავას, 20. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე — 07874.